ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა.

სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ.

12 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 427

დათხოვნილნი არიან: სამსახურიდან, სამხედრო უფროსის თელავის მაზრის სამმართველოს სამწყობრო ნაწილის საქმ. სმწარმოებელი პრაპორშჩიკი სიმონიშვილი.

საფუძველი: ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ 5 ივნისიდან 1919 წ. № 139.

სამსახურიდან სამართალში მიცემით, იმავე სამმართველოს სამეურნეო ნაწილის საქმის მწარმოებელი მოხელე ციხისთავი, მე-6 ქვეითა პოლკის ხარისხოსნები: პორუჩიკი საყვარელიძე, პრაპორშჩიკი თარხან-მოურავი, იარაღის ოსტატი პიკულევი, პორუჩიკი ჯორჯაძე და პოლკის ექიმი კლიმიაშვილი.

საფუძველი: ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ 5 ივნისიდან 1919 წ. № 130.

14 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 428

დათხოვნილნი არიან: სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, თელავის მაზრაში, მე-6 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი ბრეგვაძე, ტფილისის მაზრაში, მე-5 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი ახსაბაძე, ქუთაისის მაზრაში; ბათუმის პარტიზანული პოლკის პოდპორუჩიკი დადიანი, უკანასკნელი 1-ლ მაისიდან.

14 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 429

ნაცვლად: რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებისა სამხედრო ხარისხოსმნთ შესახებ ამ წლის 3 ივლისიდან № 412, დანიშნულია ქართველ-მაჰმადიანთა მოხალისეთა ცხენოსან დივიზიონში პორუჩიკი მხეიძე პეტრე და არა მხეიძე დავითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 430

ინიშნება: რკინის გზის სადარაჯო ბატალიონში იმავე ბატალიონთან მივლენილი პოდპოლკოვნიკი ჯორჯაძე.

15 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 431

დათხოვნილია: სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებასთან საკავალავში მყოფი პორუჩიკი გვარამაძე.

გადაყვანილია: მე-4 ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკი წინამძღვრიშვილი რკინის გზის სადარაჯო ბატალიონში.

მიივლინებიან: მე-4 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტანი ჩაკვეტაძე და პოდპორუჩიკი ძიმისტარაშვილი რკინის გზის სადარაჯო ბატალიონთან.

ინიშნებიან: პეროქსილინის მთავარ საწყობის უფროსად დაშლილი სატეხნიკო ბატალიონის პოლკოვნიკი კოჭლაძე ამ წლის ივნისის 1-დან.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების საგენერალ-გუბერნატოროს ლიკვიდაციის გამო, ახალციხის ფრონტის სარდალი და აღნიშნული მაზრების გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი კვინიტაძე სამხედრო მინისტრის განკარგულებაში, დივიზიის უფროსის ჯამაგირის მიცემით.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,
გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი.**